პროექტის აღწერა

40 მილიონ დოლარამდე (ადგილობრივ ვალუტაში დენომინირებული) არაუზრუნველყოფილი სესხი გამოიყოფა კრედო ბანკისათვის. სესხი ფინანსური შუამავლების ჩარჩოს („FIF“) ფარგლებში ორ ტრანშად გაიცემა სამწლიანი ტენორით. სესხის თანხა მოხმარდება კრედოს კლიენტი, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედი, კერძო მიკრო, მცირე და საშუალო, საწარმოებისათვის ქვესესხების გაცემას.

პროექტის მიზნები

ტრანზაქციის მიზანი მცირე და საშუალო ბიზნესების დაფინანსების მხრივ არსებული დეფიციტის მოგვარებაა საქართველოში - კერძო მცირე და საშუალო საწარმოებისათვის საშუალოვადიანი, ადგილობრივ ვალუტაში გაცემული დაფინანსების უზრუნველყოფის გზით. ეს ინსტრუმენტი ხელს შეუწყობს კრედოსთვის რეგიონული წვდომის ზრდას და თბილისის გარეთ მოქმედი კლიენტების მოზიდვას, ამავდროულად, უზრუნველყოფს მეტ ინკლუზიურობას ქალების მფლობელობაში არსებულ და/ან ქალების მიერ მართულ მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შემოსავლის მნიშვნელოვანი წილის გამოყოფით.

გარდაქმნის ეფექტი

პროექტი ხელს უწყობს ფინანსური შუამავლების ჩარჩოს ფარგლებში *კონკურენტუნარიანი* და *ინკლუზიური* გარდამავალი თვისებების ჩამოყალიბებას. *კონკურენტუნარიანი:* სესხი გააუმჯობესებს მცირე და საშუალო საწარმოების წვდომას საშუალოვადიან ადგილობრივ ვალუტაში დენომინირებულ (LCY) დაფინანსებაზე და დაეხმარება კრედოს მეტი სესხი გასცეს კერძო მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რეგიონული კლიენტების და ახალი მსესხებლების მოზიდვაზე აქცენტით. *ინკლუზიური:* სესხი უზრუნველყოფს დაფინანსებას სოფლის ბაზრის სეგმენტებისათვის, რომლებსაც ნაკლებად აქვთ ამგვარ სერვისებზე წვდომა და ქალების მფლობელობაში არსებულ და/ან ქალების მიერ მართულ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რაც გაზრდის მათ ფინანსურ ჩართულობას.

ინფორმაცია კლიენტის შესახებ

სს კრედო ბანკი

სს „კრედო ბანკი“ საქართველოში მოქმედი კერძო კომერციული ბანკია, რომელიც ორიენტირებულია მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსებაზე და აქვს ფართო რეგიონალური წარმომადგენლობა. 2025 წლის ბოლოსთვის, ბანკი, აქტივების

მიხედვით მე-5 ადგილზე იყო, საბანკო აქტივების დაახლოებით 3.6%-იანი, მთლიანი სესხების 4.3%-იანი და დეპოზიტების 2.6%-იანი საბაზრო წილით, რასაც ხელს უწყობს დეტალური, უპირატესად ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული პორტფელი და თბილისის გარეთ არსებული ფილიალების ფართო ქსელი.

EBRD-ის დაფინანსების ჯამი

40,000,000.00 აშშ დოლარი.

პროექტის მთლიანი ღირებულება

40,000,000.00 აშშ დოლარი.

დამატებითი ფაქტორები

სესხის თანმხლები დამატებითი ფაქტორებია:

დაფინანსების სტრუქტურა: EBRD უზრუნველყოფს საშუალოვადიან დაფინანსებას ადგილობრივ ვალუტაში პირობებით, რაც არ არის ადვილად ხელმისაწვდომი ბაზარზე და რაც ხელს უწყობს რეფინანსირებისა და ვადიანობის შეუსაბამობის რისკების შემცირებას.

სტანდარტების განსაზღვრა: პროექტებისა და კლიენტების დახმარება უფრო მაღალი სტანდარტების მიღწევის პროცესში: ტრანზაქცია გულისხმობს უფრო მაღალ ფინანსურ და გარემოს დაცვისა და სოციალურ სტანდარტებს, სესხის შემოსავლების დისციპლინირებულ გამოყენებას FIF-ის პოლიტიკის განცხადების, ფინანსური შეთანხმებებისა და EBRD-ის გარემოს დაცვისა და სოციალური დაცვის მოთხოვნების მეშვეობით.

ინკლუზია და გენდერი: Credo იყენებს EBRD-ის ცოდნასა და გამოცდილებას ინკლუზიისა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის საკითხებში, აფართოებს მომსახურების ხელმისაწვდომობას მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, რომელთათვისაც ეს სერვისები ადვილად ხელმისაწვდომი არ არის, მათ შორის, თანაბარი შესაძლებლობების სამოქმედო გეგმების განხორციელებით.

ცოდნისა და შესაძლებლობების განვითარება: მოსალოდნელია, რომ ASB-ის მიერ მხარდაჭერილი საკონსულტაციო მომსახურება კრედოს მცირე და საშუალო საწარმოების კლიენტებისთვის გაზრდის მათ კონკურენტუნარიანობას (მაგ., გაციფრულება, სტანდარტებთან შესაბამისობა, ექსპორტისთვის მზადყოფნა).

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხები

მინიჭებული აქვს კატეგორია FI (ESP 2024). კრედო EBRD-ის არსებული კლიენტია. კლიენტი ამჟამად აკმაყოფილებს EBRD-ის გარემოს დაცვისა და სოციალური მოთხოვნების (ESR) 2, 4 და 9 პუნქტებს EBRD-ის მიმდინარე პროექტების ფარგლებში. შესაბამისი ქვეპროექტები ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებას და მიკროდაფინანსებას, რომლებიც, მოსალოდნელია, რომ დაბალი გარემოს დაცვისა და სოციალური (E&S) რისკის შემცველი იქნება. კრედოს აქვს გარემოს დაცვისა და სოციალური მართვის სისტემა, რომელიც ითვლება ამ ტრანზაქციასთან დაკავშირებულ გარემოს დაცვისა და სოციალური რისკების შესაბამისად. მისი გარემოს დაცვისა და სოციალური მართვის სისტემა ინტეგრირებულია კრედოს ოპერაციების პოლიტიკის დოკუმენტში. ბანკის ESG სტრატეგია და წლიური ანგარიში გამოქვეყნებულია ბანკის საიტზე. გარემოს დაცვისა და სოციალური წინასწარი კვლევა ჩატარდა კლიენტის უახლესი წლიური გარემოს დაცვისა და სოციალური ანგარიშის და საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიმოხილვის გზით.

კრედოს საქმიანობა თანხვედრაშია შესაბამის საერთაშორისო ჩარჩოებთან, როგორიცაა CERISE+SPTF კლიენტთა დაცვის პრინციპები, რაც ასახავს ბანკის უფრო ფართო ინსტიტუციურ ერთგულებას გარემოს დაცვისა და სოციალური მდგრადობის მიმართ.

მოსალოდნელია, რომ კრედოს შეინარჩუნებს გარემოს დაცვისა და სოციალური რისკებისა და ზეგავლენის ეფექტურად შეფასების, მართვისა და მონიტორინგის ESMS სისტემას, ასევე ადამიანური რესურსების პოლიტიკას, შიდა საჩივრების მექანიზმს, შრომის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პროცედურებს, ESR-ის 2, 4 და 9 ESR-ების შესაბამისად, ESP-ის (2024) ფარგლებში. ეს გულისხმობს EBRD-ის გარემოს დაცვისა და სოციალური გამორიცხვის სიის დაცვას და ფინანსური ინსტიტუტებისთვის EBRD-ის შესაბამის შესრულების მოთხოვნებთან შესაბამისობას. კრედოს მიერ დაფინანსებულმა ქვემსესხებლებმა უნდა დაიცვან ეროვნული გარემოს დაცვის, სოციალური, ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და შრომითი კანონმდებლობა. კრედო EBRD-ს წარუდგენს ყოველწლიურ გარემოს დაცვისა და სოციალურ ანგარიშებს, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი ESMS-ის განხორციელება, EBRD-ის მოთხოვნებთან შესაბამისობა, ქვეპროექტის სკრინინგის შედეგები და ნებისმიერი მნიშვნელოვანი გარემოს დაცვისა და სოციალური ინციდენტი.

მწვანე შეფასება

განისაზღვრა, რომ პროექტი შესაბამისობაშია პარიზის შეთანხმებასთან EBRD-ის პარიზის შეთანხმებასთან შესაბამისობის მიდგომის გამოყენების საფუძველზე ირიბად დაფინანსებული ინვესტიციებისთვის. შესაბამისობის დადგენა დაეფუძნა პირველი პრინციპის (პარიზის შეთანხმებისადმი მხარის ვალდებულება) და მეორე პრინციპი (ქვეტრანზაქციების ფილტრი) გამოყენებას.

ტექნიკური თანამშრომლობა და საგრანტო დაფინანსება

მოსალოდნელია, რომ პროექტი, ისარგებლებს კრედოს არსებული და პოტენციური მცირე და საშუალო საწარმოების ქვემსესხებლებზე მორგებული, სხვადასხვა ინდუსტრიული სექტორისთვის არსებული შესაძლებლობების განვითარების აქტივობებით - შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად, ოპერატიული ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად ადგილობრივ და/ან საერთაშორისო ბაზრებზე EBRD-ის მცირე ბიზნესების საკონსულტაციო („ASB“) გუნდის დახმარებით.

დაფინანსების წყარო: EBRD-ის აქციონერთა სპეციალური ფონდი („SSF“)

ბიუჯეტი: 75,000 ევრომდე

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

მეგი გურგენიძე
mgurgenidze@credo.ge
0322424242
https://credobank.ge/en/
რ.თაბუკაშვილის ქუჩა 27, თბილისი, საქართველო

განხორციელების შეჯამება

პროექტის მოკლე ანოტაცია (PSD) განახლდა

6 მარტი, 2026

გარდაქმნის ეფექტი

დეტალური ინფორმაციის გაცნობა EBRD-ის გარდაქმნის ეფექტის გაზომვასთან დაკავშირებულ მიდგომაზე შესაძლებელია აქ.

ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

EBRD-თან ბიზნეს შესაძლებლობებთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად (რაც არ უკავშირდება შესყიდვებს) დაუკავშირდით:

ტელ: +44 20 7338 7168

ელ. ფოსტა: projectenquiries@ebrd.com

სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისთვის ეწვიეთ EBRD Procurement.
ტელ.: +44 20 7338 6794

ელ. ფოსტა: procurement@ebrd.com

ზოგადი საკითხები

კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის საშუალებით.

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა (ESP)

ESP-ითა და შესაბამისი შესრულების მოთხოვნებით (PR-ები) განსაზღვრულია EBRD-ის მიერ „გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების“ მიდგომის განხორციელების გზები. ESP და PR-ები მოიცავს კონკრეტულ დებულებებს, რომ კლიენტებმა დაიცვან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები საჯარო ინფორმაციისა და კონსულტაციების შესახებ, ასევე, შექმნან საჩივრების მექანიზმი დაინტერესებული მხარეების მხრიდან საკითხის წამოჭრის, საჩივრების მიღებისა და მართვის მიზნით, უფრო კონკრეტულად, კლიენტისა და პროექტის
გარემოს დაცვისა და სოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებით. პროექტის ეკოლოგიური და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების ბუნებისა და მასშტაბის შესაბამისად, EBRD დამატებით მოითხოვს კლიენტებისაგან, რომ მათ, საჭიროებისამებრ, გააზიარონ ინფორმაცია პროექტების შედეგად წარმოქმნილი რისკების და ზემოქმედების შესახებ, ან ჩაატარონ არსებითი კონსულტაციები

დაინტერესებულ მხარეებთან და განიხილონ და რეაგირება მოახდინონ მიღებულ უკუგებაზე.

დეტალური ინფორმაცია EBRD-ის საქმიანობასთან დაკავშირებით მოცემულია ESP-ში.

ერთიანი მიდგომა და სტანდარტების დაცვა

EBRD-ის მთავარი შესაბამისობის ოფიცრის ოფისი (OCCO) ხელს უწყობს კარგ მმართველობას და უზრუნველყოფს ბანკის საქმიანობის პროცესში უმაღლესი სტარდარტების შესრულებას საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ბანკის ყველა კლიენტის შემთხვევაში ტარდება კომპლექსური ტექნიკური კვლევა იმისათვის, რომ პროექტებმა არ შექმნან პრინციპების დარღვევის, ან რეპუტაციის შელახვის რისკი ბანკისათვის. ბანკი თვლის, რომ პრობლემების იდენტიფიცირება და მოგვარება პროექტის შეფასების ეტაპზე, ყველაზე ეფექტური საშუალებაა საბანკო ტრანზაქციების მთლიანობის უზრუნველსაყოფად. OCCO გადამწყვეტ როლს ასრულებს დამცავი ზომების გატარების პროცესში და ასევე, ხელს უწყობს პროექტებში ინვესტიციების განხორციელების შემდგომი რისკების მონიტორინგს.

OCCO ასევე პასუხისმგებელია თაღლითობის, კორუფციის და არასათანადო ქცევის შემთხვევების გამოძიებაზე EBRD-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში. ნებისმიერმა ადამიანმა, ბანკის შიგნით თუ მის გარეთ, რომელსაც გაუჩდება ეჭვი თაღლითობასთან ან კორუფციასთან დაკავშირებით, წერილობითი ანგარიში უნდა გაუგზავნოს მთავარ შესაბამისობის ოფიცერს ელექტრონულ მისამართზე compliance@ebrd.com. თითოეულ ასეთ შემთხვევაში, OCCO დაიწყებს მოკვლევას. მოხდება თითოეული ანგარიშის, მათ შორის ანონიმურის, განხილვა. ანგარიში შეიძლება დაიწეროს ბანკის რომელიმე სამუშაო ენაზე, ან იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ბანკი საქმიანობს. ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს კეთილსინდისიერად.

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა (AIP)

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვარს, განსაზღვრულია EBRD-ის მიერ ინფორმაციის გაზიარებისა და დაინტერესებულ

მხარეებთან კონსულტაციის წარმოების გზები, ცნობიერების ამაღლებისა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრების ხელშეწყობის მიზნით. EBRD-ის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის გვერდს.

კონკრეტული ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის გამოყენებით.

პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM)

თუ კლიენტთან, ან ბანკთან, გარემოს დაცვის, სოციალური ან საჯაროობის პრობლემების მოგვარების მცდელობა წარუმატებელია (მაგ., კლიენტის მიერ პროექტის დონის საჩივრების მექანიზმის საშუალებით, ან ბანკის მენეჯმენტთან უშუალო კომუნიკაციის გზით), ინდივიდებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ EBRD–ის პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელ მექანიზმს (IPAM).

IPAM დამოუკიდებელად განიხილავს პროექტის ირგვლივ წამოჭრილ იმ საკითხებს, რომლებმაც გამოიწვიეს, ან შესაძლოა, გამოიწვიონ ზიანი. მექანიზმის მიზანია - პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა გარემოს დაცვის, სოციალური და საჯაროობის საკითხების გადასაჭრელად; ასევე, იმის დადგენა, არის თუ არა ბანკი შესაბამისობაში გარემოს დაცვით და სოციალური პოლიტიკისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ დებულებებთან; და სადაც ეს რელევანტურია, აღნიშნულ პოლიტიკის დოკუმენტებთან ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოფხვრა და ბანკის მიერ მომავალი შეუსაბამობის თავიდან აცილება.

გთხოვთ, ეწვიოთ პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმის ვებგვერდს, IPAM–ისა და მის მანდატის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, ასევე, იმის დასადგენად, თუ როგორ უნდა წარადგინოთ მოთხოვნა განსახილველად; ან დაუკავშირდით IPAM-ს ელ.ფოსტით ipam@ebrd.com, რომ მიიღოთ ინსტრუქცია და ინფორმაცია IPAM–ისა და მოთხოვნის გაგზავნის შესახებ.